# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 84 შაბათი, 18 აპრილი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაზამდე 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხ საათის შემდეგ მეტი ღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან დღისის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



გამწარებული დედა **ბარბარე მიხეილის ასული მაყაშვილისა** აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 19 აპრილს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (კუკიაში) გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფას და საყვარელ შვილის

**ზენონ ალექსანდრეს ძის მაყაშვილის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება თორმეტის ნახევარზე.

(1—214—1)

**კნ. მართა წულუკიძის ასულის აბაშიძის**

გარდაცვალების ნახევარის წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში შაბათს, 19 თებერვალს, დილის 10 საათზე

(1—1)

**მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში**

გაიმართება

**დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია**

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

**ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია**

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების** საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ახლო მომავალში

**სალიტერატურო კრებული.**

განზრახულ კრებულში დაიბეჭდება როგორც ბელეტრისტული თხზულებანი, ისე კრიტიკული წერილები და სტატიები ხელოვნების შესახებ. აუწყებს რა ამ გადაწყვეტილებას ქართველ მწერლებს, საბჭო სთხოვს მათ, წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოებნი.

**წარმოდგენა № 12. ქართული თეატრი წარმოდგენა № 12.**

კვირას, 19 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ამ სეზონში **მესამედ ახალი პიესა** ნ. შიუკაშვილისა

I

**მეგობრობა**

დრამა 4 მოქმედებად

II

**დარისპანის გასაჭირი**

სურათი 1 მოქმედებად, დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამ. 8½ ს.**

მზადდება ბენეფისი ალ. კარგარეთლისა.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ✦ რეჟისორის თანაშემწე **ვ. გურუშიძე.**

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი**

სამშაბათს, 21 აპრილს 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

**სამხედრო ბანაკში**

დრამა 4 მოქმედ. ბეიერისა, თარგმანი ა. ს. იმედაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ა. ქიქოძე; ბ-ნნი: ანაშვილი, ბაქრაძე, ინაშვილი, მეტრეველი, გოცირიძე, ერისთავი, ზურაბიშვილი, პეპანოვი, რომანიშვილი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები გაიყიდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრის კასსაში ყოველ-დღე:—დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათზე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 2 მაისს. მზადდება წარმოსადგენათ **„უდანაშაულოდ დასჯილნი"**, კომ. ოსტროვსკისა. **პედაგოგები.**

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებით** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში მოყვანა სრულებით აღრძალულია.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.** (3—უ—1)

**ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა**

აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ **წლიური საზოგადო კრება,** ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 5 აპრილს არ შესდგა საჭირო წევრთა დაუსწრებლობისა გამო, **დანიშნულია აპრილის 19-სათვის,** დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქ., სახ. სარაჯიშვილისა).

**განსახილველია:**

1. 1908 წლის მოქმედების ანგარიში სარევიზიო კომისიის მოხსენებით;
2. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1909 წლისათვის;
3. ახალ წევრთა მიღება. რადგან ეს კრება განმეორებითია—კანონიერად შედგენილად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრთ საწევრო გადასახადი დროზედ შემოიტანონ.

(3—ნ.—2)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—102)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხაშამოღბით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ქ. თ. ტუფშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—107)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—58)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 1. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ქუთაისში მ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 42)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამღორნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—125)

**„ტფილისის სობრანიე"**

შაბათს, 18 აპრილს **საოჯახო საღამო.** სცენის მოყვარეთა დასის მიერ რუსულად წარმოდგენილი იქნება:

I

**„ღამე აგარაკზე"**

კომედია-ხუმრობა 2 მოქმ. თხზ. შტელისა.

II

**„დენშჩიკის ბრალია"**

ხუმრობა 1 მოქმ. თხზ. ტურბინისა.

დაუკრავს ორკესტრი. წარმოდგენის გათავების შემდეგ ცეკვა.

წარმოდგენაზე შესვლის ფასი 30 კაპ.-დან 1 მანეთამდე. სტუმრები—საზოგადო წესით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება „სობრანიეს" შვეიცართან. (2—208—2)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- **ი. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- **ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
- **ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
- **ვ მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
- **ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- **ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- **ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- **ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

- **ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
- **ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

(წლ.—ნ.—39)

**26 აპრილს,** ნაშუადღევის 1 საათზე, დაბა ბელაგორში **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** (ტორგი) **ბელაგორის ორ კლასიან შენობის ასაგებად**

შენობა ორ სართულიანი იქნება, ძირს კედლები ქვის, მეორე სართული ხისა. დაწვრილებით პირობას გაგება და გეგმის ნახვა შეიძლება ყოველ დღე ბელაგორში, ბელაგორის ორ კლასიან სამინისტრო სკოლის ზედამხედველთან.

საჯარო ვაჭრობა იქნება დახურული—ესე იგი დაბეჭდილი კონვერტით. იჯარის ღირებულობის 10% წარმოდგენილი უნდა იქნას მოიჯარადრის მიერ საქმის უზრუნველ საყოფად დახურულ კანვერტითვე.

მზრუნველი **ქუჩუქ დეკანოზიძე.** (1—212—1)

**უეცრად იყიდება**

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გრიზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა **„სინათლე"**-ში. (4—213—1)

**წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის გამგეობა**

ამით აცნობებს ამხანაგობის წევრთ, რომ კვირას, 19 აპრილს, საღამოს 6½ საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში, მოხდება ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ამხანაგობის კიოსკის იჯარით გაცემის შესახებ.

(2—უ.—1)


## ტფილისი, 18 აპრილი

გაზეთი „ივერია" ნაირ-ნაირ დარიგებას გვაძლევს და თან თავის საკუთარ შინაგან სნეულებას ისე განმარტავს, თითქოს თითონ ცამდე წმინდა იყოს, ხოლო ბრალი ყველაფერში ჩვენ გვედებოდეს. საქმე ქართველ საზოგადოების ზომიერ ელემენტების უქნარობას შეეხება. ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ მიუხედავად საზოგადო ცხოვრების ჩადგომისა ისეთ კალაპოტში, რომელიც მხოლოდ ზომიერ ელემენტებს აძლევს ასე თუ ისე მოქმედების თავისუფლებას, ჩვენებური ზომიერნი ვერავითარ თვითმოქმედებას ვერ იჩენენ, თუმცა კი ეხლა მათი მოქმედება დიდად სასარგებლო შეიძლება ყოფილიყო. არსებითად გაზეთი „ივერია", რომელსაც თავისი თავი ქართველ ზომიერთა ორგანოდ მიაჩნია, თანახმაა ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრისა, მაგრამ აქედან იგი იმას დაასკვნის, რომ „დროების" მესვეურნი და თანამგრძნობნი ტყუილად არ გამოეთხოვებიან თავიანთ უკიდურესობას, ტყუილად არ დაადგებიან ზომიერებს და არ გაძლიერებენ ამით ზომიერთა მოქმედებასო. გაზეთ „ივერიის" აზრით, ეს თურმე წინააღმდეგობაა, გამოწვეული იმით, რომ ჩვენ, ე. ი. „დროების" რედაქცია, ვიცავთ პარტიულ სიწმინდეს და არა ხალხის სარგებლობას.

აკი ამას წინადაც ვწერდით, ჩვენებურ ზომიერებს იმის მეტი არაფერი არ ეხერხებათ, რომ თავიანთ იდეიურ მოწინააღმდეგეებს უჩხუბონ და მათს დამცირებაზე იზრუნონ სხვა და სხვა შესაწყნარებელ და შეუწყნარებელ საშუალებით. ლაპარაკი ზომიერ ელემენტების უქნარობაზე იყო, „ივერიამ" კი სარმა ჩვენ გამოგვლო. მეტად სანიმუშო და ამასთან მეტად საგულისხმოა ივერიელთა აზრის დენა ამ შემთხვევაში. ზომიერების თვით-მოქმედება ხალხისთვის სასარგებლოაო, ვამბობდით ჩვენ. მაშასადამე, რაც ზომიერება არ არის, ის ხალხისათვის საზარალოაო, დაასკვნის „ივერია". ყურანი სიბრძნის წიგნიაო, მსჯელობდა ერთი ბნელეთის დროის მტარვალი, მაშასადამე, რაც ყურანი არ არის, ის უგუნურების წიგნი უნდა იყოსო. როგორც მოგვაგონდებათ, ამ მსჯელობის ნაყოფი იყო ალექსანდრიის ძვირფას და მდიდარ ბიბლიოთეკის დაწვა. „ივერიის" ლოღიკა ამ მართლ-მორწმუნე მტარვალის ლოღიკისაგან არაფრით არ განირჩევა იმის გარდა, რომ „ივერია" ფიქრობს, რაკი ზომიერ ელემენტების თვითმოქმედება სასარგებლოა, ამიტომ უკიდურესმა ელემენტებმა ფერი უნდა იცვალონ და ზომიერები გახდნენო.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი დიდი უბედურება ის იყო და ის არის, რომ ყოველთვის იმედი გვაქვს, ვინმე სხვა მოგვევლინება საიდანმე და ჩვენ საქმეს ის გააკეთებსო. ასე ფიქრობდნენ ასი წლის წინად, როცა საქართველოს დიდებულნი ეპისტოლეებს ჰგზავნიდნენ ჩრდილოეთისკენ. ასე ფიქრობდნენ ახლო წარსულში, როცა ჩვენში, რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობისაგან ელოდნენ ხსნას ათას გვარ გაჭირებისაგან. ასე ფიქრობენ ეხლა ჩვენებური ზომიერი ელემენტები: მოელიან უკიდურეს მიმართულების მიმდევარნი და ისინი გამოიჩენენ მოქმედების უნარს, ჩვენ რაზე შევიწუხოთ თავი, განცხრომაში ყოფნა გვირჩევნიაო. „ივერია" სერიოზულად ბრძანებს, უკიდურესნი რომ გაზომიერდებოდნენ, მაშინ ზომიერების თვითმოქმედებას ვნახავდითო...

ჩვენს დროში მრავლად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც ამ სამი წლის წინად უკიდურესების რიგში იდგა, ეხლა კი ყოველგვარ უკიდურესობას ჰგმობს. დრონი იცვალნენ და საზოგადოების ისეთმა ელემენტებმა, რომელთაც არავითარი პოლიტიკური მიმართულება არა აქვთ ჩანერგილი გულის სიღრმეში და მხოლოდ დროს უყურებენ, იერი იცვალეს. ის უკიდურესნი, რომელნიც ისე იცვლიან მიმართულებას, როგორც ხელსახოცს, ვერც ერთს საქმეში ვერავითარ თაოსნობას ვერ გამოიჩენენ, რამდენიც უნდა გაზომიერდნენ. სწორედ საბრალონი არიან ჩვენებური ზომიერები, რომელთაც თითონ მოქმედების უნარი ძლიერ ნაკლებადა აქვთ და იმედს იმაზედ ამყარებენ, რომ უკიდურეს მიმართულების ხალხი შეიცვლის მიმართულებას და ზომიერ ხასიათის მოღვაწეობას გააჩაღებსო. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ეხლანდელ პოლიტიკურ პირობებში ჯერ კიდევ ბევრი გადუდგება იმ კრედოს, რომელსაც აღიარებდა სამი წლის წინად, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ამ გვარმა რენეგატებმა ქვეყანაააყვაონ. „ივერიას" ვერ მოუხერხებია შეიგნოს, რომ ბრმად პარტიულ სიწმინდის დაცვის გარეშე კიდევ სხვა რამ შეიძლება აიძულებდეს „დროების" მესვეურებს და თანამგრძნობლებს არ უარჰყონ და არ გადუდგნენ თავიანთ მიმართულებას. ეს გარემოება „ივერიელების" დამახასიათებელია.

გაზეთ „ივერიას", სხვათა შორის თავის მოღვაწეობის (?) ნაყოფად მიაჩნია, რომ „დროება" ზომიერ მიმართულებათა სარგებლობას სცნობს. შეგვიძლიან დავარწმუნოთ მისი პუბლიცისტები, რომ ეხლანდელი „ივერია" ჯერ არ გაჩენილიყო, როცა ჩვენ ხმა მაღლა ვცნობდით ამ საჭიროებას. მაშინაც კი, როცა ბრწყინვალე წოდების იდეოლოგები მემარცხენე უკიდურესობისაკენ მიიწევდნენ, ჩვენ ნათლად და გარკვევით ვამბობდით, რომ ზომიერ მიმართულების პარტია საქართველოში აუცილებელიაო. ვამბობდით, მაგრამ რასაკვირველია, არა იმ აზრით, ვითომ ყველა სხვა მიმართულება მეტი და საზარალო ყოფილიყოს. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ზომიერ მიმართულების გაქულეტა და დაჩრდილვა საზარალოა, მაგრამ არა ნაკლებ საზარალო იქნება უკიდურეს მიმართულებათა სიკვდილი. ზომიერნი უკიდურესების საქმეს ვერ აასრულებენ და უკიდურესნი ზომიერებისას. დროა, ეს საანბანო ჭეშმარიტება „ივერიელებმაც" შეიგნონ.

## რევოლუცია ოსმალეთში.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სტამბოლი.** ცნობაში მოჰყავთ ის ქონება, რომელიც ილდის-კიოსკშია. ამ ქონებას ჯარი იცავს. მიღებულ ზომების წყალობით, სასახლე არავის გაუცარცვია. წინად სულთნების გამოცვლის დროს ყოველთვის სცარცვავდნენ სასახლეს. ქალაქი გაჩირაღდნებულია. საალყო წესები მოხსნეს. ამიტომ ქუჩებში საღამოს 10 საათამდე შეიძლება დარჩენა. საელჩოებმა ოფიციალური ცნობა ახალ სულთნის ტახტზე ასვლის შესახებ მხოლოდ 15 აპრილს საღამოთი მიიღეს. ყოველ საელჩოს ახლა იცავს მხოლოდ თითო ჟანდარმი და თითო პოლიციელი.

**მერსინა.** ადანში მცირე ხნით მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ მალე ჟლეტა-ხოცვამ კვლავ იფეთქა, ამასთან უფრო ძლიერად, ვიდრე წინად იყო. 13 აპრილს მოჰკლეს 2000 კაცი. მხეცობის საშინელი სურათები იყო. აუწერელი გაჭირვებაა. საქმეს ართულებს ის, რომ სომხების ჟლეტა-ხოცვაში ოსმალოს სალდათებიც იღებენ მონაწილეობას. შიშობენ, რომ ჯარი დაეცემა იმ სომხებს, რომელთაც სამისიონერო შენობას შეაფარეს თავი. სომხები გარბიან მერსინაში, სადაც ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა, აგრეთვე კუნძულ კვიპროსზე და ბეირუთში. აიკლეს და მიანგრ-მოანგრიეს გერმანულ-ლევანტიურ საზოგადოების ბამბის კანტორები. უცხოელთ-ეშინიანთ ამოჟლეტისა.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ტაფტმა დეპეშა გაუგზავნა ახალ სულთანს მაჰმად მეხუთეს და აცნობა, შეერთებულ შტატების მთავრობა და ხალხი მეგობრულის თვალით უყურებს ოსმალეთსაო. პრეზიდენტმა უსურვა ოსმალეთს ბედნიერება და კეთილდღეობა. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აცნობა ოსმალეთის ელჩს, რომ რესპუბლიკამ მაჰმად მეხუთე უკვე იცნო სულთნადაო.

**სალონიკი.** მოვიდა ყოფილი სულთანი აბდულ-ჰამიდი. სულთანს თან მოჰყვა თერთმეტი ცოლი, ორი პრინცი და წინანდელ ამალიდან ექვსი კაცი. სადგურზე აბდულ-ჰამიდს დაუხვდა რამდენიმე წარჩინებული პირი და როსილანდ-ფაშა. სადგურს გარს ჯარი ჰქონდა შემორტყმული. სულთანი ალლატინის ვილაში გადაიყვანეს. ალლატინში საკმაო სამხედრო ძალაა, რომელიც სასტიკად ადევნებს თვალყურს აბდულ-ჰამიდს.

**სტამბოლი.** კომიტეტის ჯარს 15 აპრილიდან სტამბოლიდან უკანვე ჰგზავნიან, წინანდელ ბინაზე. გაისტუმრეს თავისუფალი მეომარნი. სატახტო ქალაქში მარტო ერთი დივიზია რჩება, რომელსაც ქალაქ გარედ ყაზარმებში მოათავსებენ. ქალაქის ყაზარმებს გააუქმებენ.

ახალმა სულთანმა განაცხადა, ძალიან შევამცირებ სასახლის შტატებსაო. ეყოლება მხოლოდ სამი მდივანი, სამი კამერჰერი და ათი ადიუტანტი. ახმედ-რიზას პროტექციით პირველ მდივნად დაინიშნა ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ხალილ-ზია-ბეი, პირველ კამერ-

ჰერად—გარეშე საქმეთა მინისტრის კანცელარიის მმართველი ლიუტვი-ფაშა, პირველ ადიუტანტად—პირველი კორპუსის ყოფილი უფროსი—ნაზიმ-ფაშა, დიდი ვეზირი თევფიკ-ფაშა დაყენებით თხოულობს გადადგომას. თევფიკ-ფაშას ამის საბაბად ის მოჰყავს, რომ იმ ამბების შემდეგ, რაც ამ ბოლო დროს მოხდა, დავიღალე და დასვენება მესაჭიროებაო. თევფიკ-ფაშა და ახმედ-რიზა ყოველ დღე დაიარებიან სულთანთან. ხვალინდელი სელიამლიკი 25 წლის შემდეგ პირველად სოფიის მეჩეთში მოხდება. აზრადა აქვთ, ილდიზის სასახლის ბაღი ხალხის სასეირნოდ გადააკეთონ, თვითონ სასახლე კი მუზეუმად.

სამხედრო საველე სასამართლო ხურშად-ფაშის თავმჯდომარეობით მხნედ მუშაობს. სასამართლო 17 დამოუკიდებელ განყოფილებად გაიყო. ბევრი განაჩენი უკვე მოიყვანეს სისრულეში. სატახტო ქალაქის ყოფილი პრეფექტი ხამლი, რომელიც დაატუსაღეს, გაქცევის დროს მოჰკლეს. იარაღი ჩამოართვეს იმ ჯარის კაცებს, რომელთაც მოჰკლეს იუსტიციის მინისტრი და დახოცეს აფიცრები. ზოგიერთი მკვლელები დახვრიტეს სერასკერიატის ეზოში. განთავისუფლეს პრინცი საბახ-ედინი. პრინცის წინაშე ბოდიში მოიხადეს—უმიზეზოდ დაგატუსაღეთო.

**სტამბოლი**. დილის 10 საათზე დაიწყო დეპუტატთა პალატის კრება. პრესის წარმომადგენლები ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე შეუშვეს პალატის კრებაზე. სეიდ-ფაშის თავმჯდომარეობით დაიწყო ეროვნულ კრების საჯარო სხდომები. კამათის შემდეგ გადასწყვიტეს, მიიწვიონ სულთანი პალატაში. სულთანმა ფიცი უნდა დასდოს, რომ არ უღალატებს კონსტიტუციას. ამის შემდეგ დაადგინეს, დაკრძალონ მოწინავე რაზმის უფროსი მუხტარ-ბეი, რომელიც ტაქსინის ყაზარმის აღების დროს მოჰკლეს. კრებამ მოისმინა მახმუდ შევქეთ-ფაშის დეპეშა. მაჰმუდ-შევქეთ-ფაშა იტყობინება, რომ ჯარმა გადასწყვიტა, აბდულ-ჰამიდი სალონიკში დააბინაოს, რაიც უკვე მოიყვანა სისრულეშიო. კრებამ მოიწონა ჯარის გადაწყვეტილება. ნაშუადღევის პირველ საათზე კრება დაიხურა. დეპუტატები და სენატორები წავიდნენ მუხტარ-ბეის დაკრძალვაზე დასასწრებლად. კომიტეტის გავლენიანმა წევრებმა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს გადასცეს, რომ აბდულ-ჰამიდს სიკვდილის შიში არ მოელისო.

**სტამბოლი**. ყოველ ვე საფუძველს მოკლებულია ის ამბავი, ვითომ აბდულ-ჰამიდის შვილი ბურხან-ედინი მცირე აზიაში ჯარს აგროვებდეს და ვითომ აბდულ-ჰამიდის მომხრეებს იგი სულთნად გამოეცხადებინოთ. ბურხან-ედინს სულ არა ჰყავს მომხრეები.

პროვინციებიდან ცნობები მოდის, რომ ყველა კმაყოფილია ძველი სულთანის გადაყენებით და ახალის დაყენებითო. მხოლოდ ერზერუმში არიან ცუდ გუნებაზე.

კონსულების ცნობებით, გადამწვარა თითქმის მთელი ქალაქი ადანა. სომხები ამოჟლიტეს. ცეცხლმა გაანადგურა კათოლიკეთა სამისიონერო დაწესებულებანი. ამ დაწესებულებებში ხალხი გადაარჩინეს.

**ლონდონი**. „ტაიმს“ 13 აპრილის თარიღით მერსინიდან ატყობინებენ: წარსულ შაბათს აქედან ადანაში წავიდა ოსმალეთის ჯარის ორი პოლკი. კვირას ღამე ამ ჯარმა სომხებს საშინელი ხოცვა დაუწყო. სომხების ქონება სულ დასწვეს. ცეცხლში დაიწვა ათასამდე სომეხი; ვინც კი გაქცევა დააპირა, სალდათებმა მოჰკლეს. ადანის მთელ ვილაეთში დაახლოვებით მოკლულია 30,000 კაცამდე. დიდია აგრეთვე ქონებრივი ზარალი ევროპიელებისა.

# დ ე პ ე შ ა

(შემთხვევითი)

**პეტერბურგი**. ახალ რკინის გზათა კომისიამ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მისცა კონცესია კახეთის რკინის გზის გასაყვანად. მთავრობა უზრუნველ ჰყოფს $4^1/_2$% მოგებას.

რწმუნებულნი: **თავ. ჩოლოყაშვილი,** **თავ. ანდრონიკაშვილი.**

**ქუთაისი**. ხონის, ჯიხაიშის, სამტრედიისა და ქუთაისის ბაზრებზე ჩარჩები აუარებელ შეუმოწმებელ და ცუდ აბრეშუმის თესლსა ჰყიდიან. ამის გამო მეაბრეშუმეებს დიდძალი ზარალი მოელით. კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა და მაზრის უფროსმა აღუთქვა, დაუყონებლივ შესაფერ განკარგულებას მოვახდენ მაზრაშიო. მცხოვრებნი მოელიან დახმარებას კავკასიის სააბრეშუმო სადგურისაგან, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ კარგი აბრეშუმის თესლი მიაწოდოს მეაბრეშუმეებს.

მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დირექტორი **ცაგარეიშვილი და „კოლხიდა“.**

# ოსმალეთი

**(წერილი სტამბოლიდან).**

(დასასრული *)

ორი დღე მართავდა ჯარი მანიფესტაციას. თოფის სროლისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. დრო-გამოშვებით ეს მანიფესტაცია სისხლის ღვრად იქცეოდა ხოლმე, როცა ჯარის-კაცნი მათთვის არა სასიამოვნო პირებს ეხეჩებოდნენ. ასე მოჰკლეს იუსტიციის მინისტრი, რამდენიმე დეპუტატი და რამდენიმე ათეული აფიცერი. დასჭრეს საზღვაო მინისტრი რიზა-ფაშა ათაბეგი. კომიტეტის გაზეთის რედაქცია და სადგომი ჯარმა სულ მიანგრ-მოანგრია. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ სხვაფრივ ჯარმა სამაგალითო თავდაჭერილობა გამოიჩინა. იმ დროს, როდესაც პოლიციელების სამმართველოები დაცარიელდა და პოლიციელების ჰაჟანება არსად იყო (რამდენიმე კაცის გარდა ყველა გაქცეულიყო), ჯარი იცავდა წესრიგს. არც ერთი გაცარცვა ან რაიმე ძალადობა არ მომხდარა, რის გამოც ევროპიელების განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

შემდეგ დღეებში ჯარი თანდათან დაწყნარდა, ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ქვეყნის პატრონად ლიბერალური კავშირი გამოვიდა. მისი პოლიტიკური სახე, აქამდე სრულიად გამოურკვეველი, თანდათან ირკვევა. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტთან ბრძოლის დროს იგი რადიკალურ დროშის ქვეშ იდგა. კომიტეტის ცენტრალიზმს ის თავის დეცენტრალიზმს უპირდაპირებდა; არა კმაყოფილდებოდა კომიტეტის მიერ განზრახულ რეფორმებით, აღნიშნავდა მის არასაკმაო დემოკრატიულობას, მოითხოვდა პრესის სრულ თავისუფლებას, პიროვნების სრულ ხელ-შეუხებლობას და სხვას. მაგრამ დღეს ფრონტი იცვალა: აღარც ისე რადიკალობს, აღარც ისე დემოკრატობს. რამდენადაც წინად ლიბერალურის პრინციპებით მოჰქონდა თავი, იმდენად დღეს შარიათს, მუსულმანურ მორალურ პრინციპებს ეტრფიალება. აიღეთ ის გარემოება, რომ ისინი დაეყრდნენ უკულტურო სალდათობას და მათი ფანატიზმი აფიცრების თავისუფალ აზროვნებას დაუპირდაპირეს, რომ უკანასკნელ აჯანყების დროს მათი დროშა იყო შარიათი, ხოლო მათი მოწინავე ავანგარდი—ფანატიკური ნაწილი სამღვდელოებისა, და ეს ორი გარემოება მიგვიყვანთ ორ შესაძლებელ დასკვნამდე: ლიბერალური კავშირი ან დაურიდებელია საშუალებების ამორჩევაში მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროს, ან მისი სახელი და წინანდელი მოქმედება არ უნდა შეეფერებოდეს იმის საიდუმლო სულისკვეთებას.

ის გარემოება, რომ აჯანყებაში უმთავრესი როლი მოლებმა ითამაშეს და აგრეთვე „ლიბერალურ კავშირის“ დღევანდელი ქცევა ეჭვს აღარ გვიტოვებს, რომ რეაქციასთანა გვაქვს საქმე. ათასნაირი ხმა დადის სულთნისა და „ლიბერალურ კავშირის“ ურთიერთობაზე და ეს ხმები არც ისე დაშორებულია სიმართლეს. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, ვითომ „ლიბერალების კავშირი“ მთლად პირწმინდა რეაქციონერებისაგან შესდგებოდეს. ასეც რომ იყოს, დღეს ოსმალეთის ხალხში კონსტიტუცია იმდენად პოპულიარულია, ძველმა რეჟიმმა იმდენად მოაძულა ყველას თავი, რომ უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია, და სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტია კონსტიტუციის გზას ვერ აუხვევს.

რომ უფრო თვალსაჩინო იყოს ეს, ვალაპარაკოთ ოსმალეთის პრესსა. აი რას სწერენ მოლები „ივნი გაზეთში“, როცა სულთანმა მათ საჩუქრად 10,000 ლირა გაუგზავნა: „არ მივიღებთ ასეთ საჩუქრებს, ამისი საჭიროება არ გვაქვს. ჩვენის საჭიროების დასაფარავად ევკუფების მინისტრი არსებობს და პარლამენტის საქმეა ამაზე ზრუნვა. ჩვენ ვეუბნებით იმათ, ვინც ათასნაირის ჭორებით იკვებება მოლების შესახებ, რომ ჩვენ პირველნი ვართ დამცველნი კონსტიტუციისა და თუ საჭიროება მოითხოვს, რომ ამისთვის სისხლი უნდა დაიღვაროს, ჩვენ პირველნი ჩავდგებით მებრძოლთა რაზმში და თავებს დავიხოცავთ“.

გაზეთი „მიზან“-ი სწერს: „კონსტიტუციის მტრობა და აბსოლიუტიზმის აღდგენა, აი რა არ შეიძლება იყოს სურვილი არც ერთის მუსულმანისა... ივლისის რევოლიუციამ მოგვცა სიკეთენი, მაგრამ შემდეგ სხვაგვარ აბსოლიუტიზმს სურდა დაეჭირა ძველის ადგილი და აი, ღვთის შეწევნით, გზა ხელ-ახლა ხსნილია, გავუფრთხილდეთ ამ გზას, გავუფრთხილდეთ პარლამენტს, კონსტიტუციას და სამართლიანობითა და კანონიერობით ვიმოქმედოთ“.

„იკდამი“ სწერს: „ჩვენი ვალია, შემინებული დეპუტატები დავიცვათ ჩვენის სიცოცხლის ფასით... ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ერის პატიოსნებაა მათი გარანტია... დეპუტატებიც ხელ-შეუხებელნი არიან, როგორც მსაჯულები. რომ მათი გადაწყვეტილება იყოს სერიოზული, საჭიროა იგი იყოს თავისუფლად და უშიშრად გამოთქმული“.

„L' in dépendant“ ამბობს: „სამწუხარო ამბებმა, რომლებმაც გაიარეს, ბოლო მოუღეს ერის განხეთქილებას, რაც დიდ განსაცდელს უმზადებდა ქვეყანას. სისხლი დაიღვარა. პარტიებმა დღეიდან უნდა დაივიწყონ ძველი კინკლაობა და სახიფათო შუღლი, საბოლოოდ უნდა შეერთდნენ თანხმობით მუშაობისათვის ოტომანების დიად სამშობლოს განსაახლებლად. გაბედულად გავწიოთ წინ შერიგებისაკენ, რადგან მშვიდობიანობა ძალიან საჭიროა ქვეყნის თავისუფალ განვითარებისთვის“.

ამას ლაპარაკობენ დღეს გაზეთები, რომელთა ორი მესამედიც „ლიბერალურ კავშირს“ ეკუთნის და ამით ცხად ჰყოფენ, რომ კონსტიტუცია ოსმალეთში მაგარ საფუძველზე სდგას, მიუხედავად იმისა რომ ქვეყნის სათავეში ჩადგნენ საეჭვო წარსულის პირნი. ამას გარდა, თვით „ლიბერალურ კავშირის“ გამარჯვების ხანგრძლიობა ძალიან საეჭვოა.*) მთელი მაკედონია, ალბანია, ადანა და ზოგიერთი ადგილები კომიტეტის მხარეს არიან.

დეპეშა-დეპეშაზე მოდის, დამნაშავენი სასტიკად დასაჯეთ, გადაყენებული მინისტრები აღადგინეთ, თორემ სტამბოლზე მოვდივართო.

წუხელ, 19 (ახ. სტ.) აპრილს საღამოთი, აქ ხმა გავრცელდა, მაკედონიიდან გამოსული აუარებელი ჯარი სან-სტეფანოს და ჩეკმეჯესთან მოვიდა და სტამბოლზე მოდის სრულის საომარი წესით ორის მხრითაო. დღეს ეს ხმები გაზეთებმა გაამართლეს. ამბობენ, გადაწყვეტილია სულთანის ჩამოგდებაო. **გადახვეწილი.**

*) იხ. „დროება“, N 83

*) ეს წერილი გამოგზავნილია 6 აპრილს. **რედ.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა.**

16 აპრილს სათათბირომ კვლავ განაგრძო კამათი სინოდის შესახებ. სიტყვები წარმოსთქვეს ოქტომბრისტებმა კამენსკიმ. კაპუსტინმა, ოპოჩინინმა, მემარჯვენეებმა ტიჩინინმა და ეპ. მიტროფანმა, როზანოვმა, ოთხმა-ხუთმა მღვდელმა, მაგრამ ყველაზე საყურადღებო კადეტის კარაულოვის სიტყვა იყო. ოქტომბრისტებმა თითქმის მხოლოდ მხარი დაუჭირეს საბიუჯეტო კომისიის სურვილებს. მღვდლებიდან უმრავლესობა მემარჯვენენი იყვნენ და ესენი, რასაკვირველია, ოპოზიციას და მემარცხენეებს ლანძღავდნენ.

კარაულოვი პირველად შეეხო ობერ-პროკურორის უფლებებს. ობერ-პროკურორის თანამდებობა და უფლება პატალოგიური მოვლენაა მართლ-მადიდებელთა ეკლესიის ცხოვრებაში. პროკურორის წყალობით ეკლესია მთლად სამოქალაქო მთავრობას დაემორჩილა, მისი ყმა და მონა გახდა. მრევლი, მართლ-მორწმუნე ქრისტიანენი სრულიად ჩამოაშორეს საეკლესიო საქმეებს. განხეთქილება ეკლესიასა და მორწმუნეთა შორის ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში დაიწყო. მაშინვე მრავალნი ჩამოშორდნენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას. ეხლა ეს განხეთქილება გორკეცდა. დღეს მართლ-მადიდებელი ეკკლესია აღარ არსებობს. არის მხოლოდ უბრალო დაწესებულებანი, კანტორები, კონსისტორიები და სხვა ამ გვარნი, რომელნიც ყოველთვის და ყველგან მთავრობის აგენტები არიან. გვისაყვედურებენ, კანტროლს რად უწესებთ ეკკლესიასო: ეკკლესიის ხაზინა დიდ-ძალ ფულს აძლევს და უკანტროლობა შეუძლებელია. ამას გარდა თვით ეკკლესიას აუარებელი ქონება აქვს და არავინ იცის, სად მიდის და რაზე იხარჯება ფული. 1902 წელს მარტო უძრავი საეპარქიო ქონება უდრიდა 2,343,000 დესეტინას. მარტო მოსკოვში ეკკლესიებსა და მონასტრებს 1,109 დესეტინა მიწა აქვთ, ეს კი ფულად რომ ვაქციოთ, 50 მილიონი მანეთი იქნება. ეხლანდელი წესი თუ სულ არა, მაინც უნდა შეიცვალოს. უმთავრესად უნდა დაწესდეს თვითმმართველი მრევლი და ამ მრევლს ისეთივე ხმა და უფლებები უნდა ჰქონდეს საეკლესიო საქმეში, როგორიც უწინა ჰქონდა. პროკურორის ნაცვლად საეკლესიო საქმეების უმაღლესი მმართველი სასულიერო კრება უნდა გახდეს. თუ რამდენად დაეცა ეკლესია, იქიდანა სჩანს, რომ სანთლითაც რო ეძებოთ, ვეღარ იპოვნით ისეთ სასულიერო მოღვაწეებს, როგორნიც წინად იყვნენ. ეხლა სასულიერო უწყებაში არიან მხოლოდ ლაქიები და პოლიციის ურიადნიკები. ესენი არა თუ კანტროლის წინააღმდეგნი არიან, არამედ მთელ სათათბიროს, ამ სახელმწიფო დაწესებულებას, ლანძღვა-გინებითაც უმასპინძლდებიან. „ზემსკი ლისტოკ“-ში, მაგალითად, ცნობილი ეპისკოპოსი გერმოგენი სათათბიროს ეძახის მონგოლთა ურდოს, რომელიც ურიებთან და სხვებთან ერთად ძირს უთხრის მართლ-მადიდებელ ეკლესიასაო. დიდი ნაწილი უმაღლეს საეკლესიო იერარქიისა შეურთდა უკიდურესს მემარჯვენე პარტიას, რომელიც უარსა ჰყოფს ძირითად კანონებს, სცდილობს სახელმწიფოს წეს-წყობილების შეცვლას. ჩემთვის, მორწმუნე ქრისტიანისათვის აუტანელია ის გარემოება, რომ ეკლესია ამოჰფარებია იმ პოლიტიკურს კავშირის დროშას, რომელსაც ხელმძღვანელობენ დრო-მოჭმულ წყობილების დრომოჭმული კაცები. მაგრამ ეკკლესია, ის ეკკლესია, რომელმაც დიმიტრი ტოლსტოის და პობედონოსცევის უბედური ხანა გადაიტანა, ამ უბედურებასაც გაუძლებს, და გამაგრებული და გაძლიერებული ფეხზე ადგება.

კარაულოვის სიტყვის დროს პურიშკევიჩსა და სხვა მემარჯვენებს ერთი აურ-ზაური ჰქონდათ, ყვიროდნენ და აბრახუნებდნენ. სამაგიეროდ ცენტრი და ოპოზიცია მხურვალე ტაშს უკრავდა.

სათათბირომ ბოლოს მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა იმ ცვლილებით, რომელიც საბიუჯეტო კომისიამ შეიტანა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აპრილი

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი**. სტამბოლის ამბებმა ძალიან იმოქმედა აქაურ რევოლიუციონერებზე. ენჯუმენები ეხლა მაგრა დგანან და გადაჭრილ უარს ამბობენ შაჰის წინადადებაზე: შაჰი პირობას აძლევდა, შემოვიღებ შარიათზე დამყარებულ კონსტიტუციასო. რევოლიუციონერები ხელახლა ლაპარაკობენ ბრძოლის განგრძობაზე. ამ აზრით სარგებლობენ შაჰის ნებართვით და მრავლად ყიდულობენ სურსათს. საერთოდ-კი სურსათი ნაკლებად შემოდის. ხალხი კვლავ შიმშილს განიცდის. მძვინვარებს სახადი, შიმშილისაგან გამოწვეული. ევროპიელებს ძალიან აწუხებთ ანარქია და აგიტაცია. ესენი მოუთმენლად მოელიან არეულობის დასრულებას. ჯარზე ათასი ხმა დადის სამი კვირა საკონსულო ფოსტაც-კი აღარ მოსულა.

**მარანდა**. (ჯულფიდის ფოსტით). 15 აპრილს რუსის ჯარი მოვიდა მარანდში, რომელიც ჯულფიდან 65 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ჯარისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. გენერალ სნარსკისთან მივიდა მარანდის გუბერნატორის ბუჯანიის მიერ გამოგზავნილი კაცი. გუბერნატორის კაცმა გენ. სნარსკის გადასცა გუბერნატორის სალამი და სთხოვა, რომ ჯარი სპარსეთის შუაგულისკენ ნუღარ წავა, რადგან გუბერნატორმა სპარსეთის ჯარის მთავარ-სარდლის ეუნუდ-დოვლესაგან დეპეშა მიიღო—გეიგოს, რათ მიდიან სპარსეთში რუსები და მისცა თუ არა სპარსეთის მთავრობამ ამისი ნება. ამასთან ეუნუდ-დოვლეს გუბერნატორისთვის უბრძანებია, რუსის ჯარს წინააღმდეგობას ნუ გაუწევთო. სნარსკიმ გუბერნატორის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და სთქვა ჩვენი ჯარი წინ წავაო.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: გადამდგარ დიდ-ვეზირის და სამხედრო მინისტრის მოადგილედ შაჰმა დანიშნა ცნობილი რეაქციონერი ნობეს-სულტანე. დაითხოვეს თეირანის ვიცე-გუბერნატორი. იმას აბრალებენ შახაბდულაზინში თავშეფარებულთა დახოცვას.

## ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი.

**პეტერბურგი**. გერმანიის ელჩმა დღეს აცნობა რუსეთის მთავრობას, რომ გერმანიამ ბოლგარიის დამოუკიდებლობა შეიწყნარაო.

**ვენა**. „კორესპონ.-ბიუროს“ სერაევოდან ატყობინებენ: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ოგრადენიკში ამ დღეებში შეტაკება მომხდარა ჩერნოგორიის და ოსმალეთის ჯარს შორის. ჩერნოგორიის ჯარს დაუკარგავს 12 კაცი. ოსმალეთის ჯარის ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის.

## საზღვარ-გარეთ.

**ქაირი** (ეგვიპტე). დოქტორმა ჰასან-ფორმი-გამალ-ედინმა დაარსა აქ სოციალისტების პირველი საზოგადოება. აზრადა აქვს ეგვიპტის სოფლის მცხოვრებთა შორის გასწიოს სოციალისტური პროპაგანდა. ამ ახალ საზოგადოებას მიემხრნენ ჯერ მხოლოდ მაჰმადიანები.

**ბერლინი**. საფრანგეთის სენატორის დე-კონსტანის მოხსენებას (საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების შესახებ) დაესწრო რამდენიმე ასი კაცი, მათ შორის საფრანგეთის ელჩი, რეიხსტაგის პრეზიდენტი, ბევრი დეპუტატი, ბერლინის ბურგომისტრი, უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერების სხვა და სხვა წარმომადგენლები, წარმომადგენლები ხელოვნებისა და ვაჭრობისა.—მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვება არა თუ საჭიროა, არამედ იგი რაც შეიძლება მალე უნდა მოხდესო. მომხსენებელს ტაშს უკრავდნენ.

**ტანჟერი**. მულაი-გაფიდმა ტანჟერის, ლარაშის, მაზაგანის, საფის და მაგადარის ყადებს უბრძანა, რაც შეიძლება ბევრი მეომარი, იარაღი და სურსათი გამოგზავნეთ ფეცში, რადგან ფეცის მიდამოების კაბილები ფეცის და მაგზენის ჯარის წინააღმდეგ ჯარს ამზადებენო. ხმა დადის, რომ ზოგიერთმა თემებმა სულთნად როგი გამოაცხადესო.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. ხაზინის კანცლერმა წარუდგინა პალატას ბიუჯეტი. დღევანდელ კრებას დაესწრო ყველა დეპუტატი. კანცლერის სიტყვა ბიუჯეტის შესახებ პალატამ დიდის ყურადღებით მოისმინა. მიზეზი ის არის, რომ ბურების ომის შემდეგ წლევანდელი ბიუჯეტი პირველია, რომელიც დეფიციტს შეიცავს. ყველას უნდა გაიგოს, რა საშუალებას მიმართავს მთავრობა დეფიციტის დასაფარავად.

**ლონდონი**. ოფიციალურის ცნობით, წლევანდელი დეფიციტი უდრის 150,400,000 მანეთს. დეპუტატთა პალატაში ლორდმა ჯოჯრმა განაცხადა, რომ დეფიციტი მოხუცებულთათვის პენსიის დანიშვნამ და ახალ გემების აგებამ გამოიწვიაო. მომავალ წელს ხარჯი უფრო გადიდდება, რადგან საჭიროა ფლოტის გაძლიერება და სოციალურ რეფორმების მოხდენა. მთავრობას სრულებითაც არა ჰსურს, რომ დეფიციტის დასაფარავად ისეთ დროებით ზომას მიმართოს, როგორიც არის სესხის აღება. მთავრობას უნდა, სხვა უფრო უკეთესი რამ საშუალება გამონახოს.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი**. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ 1909 წლის აპრილს მოხდეს რიაზანის გუბერნიაში საცდელი მობილიზაცია. უნდა გაიწვიონ ჯარისა და ფლოტის სათადარიგო ჯარის-კაცნი და ცხენები.

**პეტერბურგი**. ბრძანებაა 1910 წლამდის კალუგის გუბერნიაში ძალაში დარჩეს უფლება, რომლითაც გუბერნატორს ნება აქვს სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს ხოლმე და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის შესაფერი ზომები მიიღოს ხოლმე. 1909 წლის 20 ოქტომბრამდის გაგრძელდება ბახმუტის მაზრაში საგანგებო დაცვის წესები, ხოლო მარიუპოლისა და სლავიანო სერბიის მაზრებში, სადაც საგანგებო წესები იყო, გაძლიერებულ დაცვის წესები იქმნა შემოღებული 1910 წლის 31 იანვრამდე. 1909 წლის 26 ოქტომბრამდე იალტაში და იმის მაზრაში დასტოვეს საგანგებო დაცვის წესები. გროდნოს გუბერნატორს, ბელოსტოკსა და იმის მაზრაში, სადაც გაძლიერებულ დაცვის წესებია, მიენიჭა უფლება მთავარ-მართებლისა.

დღე-ღამის განმავლობაში პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი. არავინ გარდაცვლილა.

**კიევი**. სადგურ ბობრინსკაიას მახლობლად, სამხრეთ ჩრდილოეთის გზაზე, მატარებელი დაეტაკა რელსებზე დადებულ ხეს. შეპყრობილმა ბოროტმოქმედებმა განაცხადეს, ეს საქმე იმიტომ ჩავიდინეთ, რომ მატარებელი გაგვეჩერებინა და გაგვეცარცვნაო. უბედურება არა მომხდარა-რა.

**ოდესა**. გრადონაჩალნიკის სავალდებულო დადგენილებით, ყველას აეკრძალა დაარსოს ესა თუ ის ორგანიზაცია ან ჯგუფი საერთო ძალღონით რაიმე მიზნის მისაღწევად, თუ, რასაკვირველია, ამგვარი რამ ორგანიზაცია კანონით ნებადართული არ არის.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ შანტაჟისტების მიერ ბავშვის გატაცება.** მტაცებლებმა კვლავ იჩინეს თავი ტფილისში. ამას წინად უკვე აღვნიშნეთ, რომ ვილაცებმა რამდენჯერმე რევოლვერი დაახალეს და ავლაბარში, სურფ-მინასის ქუჩაზე, თავის სახლის წინ მოჰკლეს ივანე თუშიშვილი. ის იყო დაასაფლავეს მოკლული თუშიშვილი, რომ ჭირისუფალთ მეორე უბედურება დაატყდათ თავზე. მოკლულის დასაფლავების მეორე დღეს, 16

აპრილს ასე საღამოს 9 საათი იქნებოდა, ორმა უცნობმა თუშიშვილის სახლის წინ გააჩერა ეტლი, დაიჭირა იქვე ქუჩაში მოთამაშე 6 წლის ბავშვი ვლადიმერ თუშიშვილი (მოკლულის ძმის-წული), ჩაისვა ეტლში და გააქცია არსენალის ქუჩით სადგურისაკენ. ეს ამბავი მალე გაიგო ყმაწვილის მამამ არამ თუშიშვილმა და ყველაფერი ავლაბრის ბოქაულს გაგიევს აცნობა. მალე ქანტაჟისტებს მდევარი დააყოლეს. როცა ავლაბრელებმა ეს ამბავი გაიგეს, ისინიც ქუჩებს მოედვნენ. ბოქაულმა გაგიევმა ტელეფონით შეატყობინა პოლიციის მე-8, 9, 10 და 11 ნაწილის ბოქაულებს: ავლაბრიდან ბავშვი გაიტაცეს შანტაჟისტებმა, ქუჩები შეჰკარით, ეგებ ბოროტ-მოქმედნი დაიჭიროთო. მართლაც აღნიშნულ უბნებში პოლიცია ფეხზედ დადგა. ბავშვის მოტაცების შემდეგ არ გასულა ნახევარი საათი, როცა ავჭალის ქუჩაზე პოლიციელებმა შენიშნეს, რომ ვიღაც უცნობები, ეტლს ძალზე მიაქროლებდნენ. პოლიციელებმა და პატრულებმა ეტლი შეაჩერეს. ეტლში აღმოჩნდა ორი უცნობი და გატაცებული ყმაწვილი ვლადიმერ თუშიშვილი. პოლიციაში უცნობებმა განაცხადეს, ჩვენ სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი ვართ, სიკო და ნიკოლოზ დავითის ძენი ბურდულაძენი, ბიძა შვილებიო. სიკო ბურდულაძე მსახურებდა არტემ კოხტიევის სარდაფში, ხოლო ნიკოლოზი უსაქმოდ დადიოდა. პოლიციამ ამავე ღამეს გაჩხრიკა დაპატიმრებულთა ბინები და აღმოაჩინა საიდუმლო მიწერ-მოწერა, მუქარის ბარათები ფულის მოსათხოვნად სხვა და სხვა პირებთან, ფოტოგრაფიული სურათები და სხვა. პოლიციამ აგრეთვე დააპატიმრა გამტაცებელთა მესამე ამხანაგი. ამათ გარდა დააპატიმრეს მეეტლე მარტინ შახნაზაროვი, რომელიც აგრეთვე, პოლიციის ცნობებით, მონაწილე ყოფილა მტაცებლებისა. დააპატიმრეს კიდევ მიხეილ კირვალიძე, რომელსაც შეუძენია ეტლი და ცხენები განსაკუთრებით მოტაცებულთა გადასამალავად. გაჩხრიკეს და დააპატიმრეს, როგორც შანტაჟისტების შემნახველნი, მედუქნეები კოხტიევი და სესიევი. დაპატიმრებულნი იცნეს ბავშვის პატრონებმა და გატაცების დროს მნახველებმა. როგორც გამოირკვა, ვლადიმერ თუშიშვილი გაუტაცნიათ იმ აზრით, რომ ფული დაეტყუათ. გამოძიება სწარმოებს მთელის საქმის ვითარების გამოსარკვევად.

**„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების შინაარსი: „საიდუმლო“, მოთხრობა მ. გარიყულისა, წვრილი ამბები; სურათები: „ღარიბები:“—სურათი ლ. პასხინისა მაიორი ენვერ ბეი—ოსმალეთის რევოლიუციის მეთაური, მაჰმად მეხუთე—ახალი სულთანი ოსმალეთისა, გურიის დედოფლის სოფიოს საფლავი ოსმალეთში, კარიკატურები.**

◆ **რევიზია.** როგორც ვიცით, ადმინისტრაციამ არმავირში დააპატიმრა ბევრი სომეხი. არმავირელმა სომხებმა დეპუტატ აჯემოვს მიმართეს, გვიშუამდგომლეთ, რომ რეპრესიები შეაჩერონო. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს კურლოვს აჯემოვისთვის უთქვამს, რეპრესიებს ჯერ-ჯერობით შევაჩერებთო. საქმის ადგილობრივ გამოსაძიებლად არმავირში გამოიგზავნება პოლკოვნიკი დამკევიჩი.

◆ **ნავთის ადგილები სურახანში.** გაზეთ „კასპი“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: სავაჭრო-სამრეწველოს სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს სურახანის ნავთიან ადგილების საკითხს. აზრადა აქვთ, ეს ადგილები ჩამოართვან სურახანისა და ამირჯანის გლეხებს და ხაზინას გადასცენო.

◆ **წვრილ-ვაჭართა კომიტეტის სხდომა.** ამ დღეებში მოხდა სხდომა წვრილ ვაჭართა საზოგადოების მთავარ კომიტეტისა. თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, მთავარ კომიტეტს თათბირი ჰქონდა თავმჯდომარის ჯამაგირის დანიშვნისა და სათავმჯდომარეო კანდიდატის შესახებ. კომიტეტმა დაადგინა, თავმჯდომარეს დაუნიშნოს 1200 მანეთი წელიწადში, ხოლო თავმჯდომარედ მიიწვიოს ანდრია ღულაძე. ხაზინადრად კომიტეტმა აირჩია ისევ ნიკოლოზ კიკნაძე.

◆ **ლექცია.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ინიციატივით ხვალ, 19 აპრილს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ნ. ა. პავლოვი წაიკითხავს საჯარო ლექციას: „ტელეგრაფის განვითარების ისტორია და მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში“. ლექცია დაიწყება დილის 11 საათზედ.

◆ **საგურამოს სკოლის დახმარება.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გუშინ 50 მან. მიიღო კავკ. სამეურნეო საზოგადოების ხაზინადრისაგან. ეს ფული სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებამ გადასდო საზოგადოების ყოფილ ვიცე-პრეზიდენტის ილია ჭავჭავაძის სახელის პატივის ცემის ნიშნად იმ თანხის გასაძლიერებლად, რომელიც მოხმარდება მგოსნის სახელობის სკოლას საგურამოში.

◆ **ადგილების დაფასება.** ქალაქის საადგილ-მამულო და საფინანსო კომისიების შეერთებულ სხდომას დაუმთავრებია მუშაობა ნაძალადევისა და ლოტკის-გორის ადგილების დაფასების შესახებ. ნაძალადევში ქალაქისა ყოფილა სულ 45,892 ოთხკუთხი საჟენი. კომისიებმა ეს ადგილი დააფასეს 481,816 მანეთად. მთელი ადგილი 457 ნაკრად დაჰყვეს, თვითეული ნაჭერი ღირს 3—21 მანეთამდე. საშუალოდ ერთი ოთხკუთხი საჟენი ნაძალადევში მოდის 10 მ. 44 კაპეიკად. ლოტკის-გორის ადგილების სივრცე უდრის 28,611 ოთხკუთხი საჟენს, დაფასებულია 201,603 მანეთად ლოტკის გორის ადგილები დაყოფილია 272 ნაკრად, ოთხკ. საჟენი დაფასებულია. 2—13 მანეთად. ერთი ოთხკ. საჟენი ორთა შუა მოდის 7 მ. 40 კაპეიკად.

◆ **„იალქანი“.** ხვალ, კვირას გამოვა ჟურნალ „იალქანი“-ს მეექვსე ნომერი შემდეგის შინაარსით: „ოსმალეთის რევოლიუცია“.—„სახელმწიფო დუმაში“—„ვით ვიმღერო“, ლექსი ხაშმელისა.—„ობრობის საუცხოვო ნიმუშები“, ლ. კანდელისა.—„უტოპისტები და მარქსის მოძღვრება“, ივ. გომართლისა.—„ნანა“, ლექსი ქუჩიშვილისა.—„მებრძოლი მატერიალიზმი“, გ. პ.—სა.—„დილა“, ლექსი დ. თურდოსპირელისა.—შინაური ქრონიკა.—წერილი გურიიდან, ჰ—სა.—რუსეთის ცხოვრება.—უცხოეთი.—პროვინცია.

◆ 15 აპრილის, ღამის 10 საათზე, ელისაბედისა და ვოგზლის ქუჩების კუთხეში, მდგომ პოლიციელ პოტეხასთან მისულა სახლის გასაღებისათვის მისი საყვარელი ლიუბჩენკო. ლიუბჩენკოს პოტეხანაკოს ბინის გასაღები მიუღია და წასულა. ცოტა მანძილი რომ გაუვლია ქალს, წამოსწევიან რკინის გზის მთვრალი დარაჯები ივანე ტარანუშიჩი და ივანე მიროშნიჩენკო, წაუვლიათ ხელი და გასაუპატიურებლად ქალის წაყვანა მოუნდომებიათ. პოლიციელის პოტეხას შენიშვნაზე ეს საქმე არ ჩაედინათ, დარაჯს ტარანუშიჩს რევოლვერი ამოუღია და დამუქრებია. პოლიციელმა ტარანუშიჩი პოლიციაში წაიყვანა, ხოლო დარაჯი მიროშნიჩენკო რკინის გზის სამართველოს სადგომში შეიმალა. მთვრალი დარაჯები პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

◆ 15 აპრილს, სტეფანე ყაზარიანცს ნუხის ქუჩაზე თავს დასცემიან სამი უცნობი და გაუძარცვნიათ წაუღიათ ფულად 25 მან. და საათი. პოლიციამ მძარცველნი დაიპატიმრა იგინი აღმოჩნდნენ გრიგოლ მიკირტიჩევი და გეურქ ალექსეევი.

**ქ უ თ ა ი ს ი**

◆ **კრება.** 19 აპრილს, შუადღის 12 საათისთვის, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია ადგილობრივ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების მორიგი საზოგადო კრება. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **ჯამაგირის მომატება.** ქალაქის გამგეობამ, საავადმყოფო-სასანიტარო კომისიის თანადასწრებით, დაადგინა, რომ ქალაქის გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსამსახურეთ გაუორკეცეს ჯამაგირები იმ დრომდის, სანამ მუწუკოვანი ტიფით ავადმყოფები იქნებიან საავადმყოფოში. ამასთან დადგენილ იქმნა, რომ ხსენებულ საავადმყოფოში სხვაგვარი ავადმყოფები აღარ მიიღონ.

◆ **წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კრება.** 19 აპრილს, საღამოს $6^{1}/_{2}$ საათისთვის, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის საგანგებო კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, გაიცეს თუ არა იჯარით ამხანაგობის კიოსკი ქალაქის ბაღში.

◆ **ქალაქის საბჭო.** 20 აპრილისათვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი კრება.

◆ **საჯარო ვაჭრობა.** 21 აპრილს, 12 საათზე, ქალაქის გამგეობაში მოხდება საჯარო ვაჭრობა ეკლარის ქვის მადნის იჯარის გასაცემად.

# უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**როგორ ჩამოაგდეს ტახტიდან სულთანი აბდულ-ჰამიდი.**

წარსულ ივლისში ახალგაზდა ოსმალებმა, ქართულ ხალხურ სიმღერისა არ იყოს, „ხონთქარი შესძრეს ტახტზედა“, ხოლო ამ დღეებში მთლად ჩამოაგდეს იგი ტახტიდან. ეროვნულმა კრებამ, შეიხ-ულ-ისლამის ფეტვის თანახმად, სულთანი ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. გენერალისიმუსმა შეფხეტფაშამ კრების განაჩენის ასრულება მიანდო განთქმულ მაიორს ენვერ-ბეის.

ენვერ-ბეი, აფიცრების თანხლებით, შევიდა ილდისში და სულთანის პირველ მდივანს გამოუცხადა ეროვნულ კრების განაჩენი. შემდეგ ენვერ-ბეიმ გენერალისიმუსის სახელით გამოუცხადა ყველას, ვინც-კი სასახლეში იყვნენ ულაპარაკოდ უნდა გამომყვეთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ თოფს დაგიშენთო.

მდივანმა ენვერ-ბეის განცხადება გადასცა ხონთქარს, აბდულ-ჰამიდმა თავისთან მიიწვია ენვერ-ბეი, მაგრამ მან უარი შეუთვალა. მაშინ სულთანმა სთქვა“ გემორჩილებით, როგორც გნებავსთ, ისე მოიქეცით“. აბდულ-ჰამიდს ეგონა, რომ მის მოსაკლავად იყვნენ მოსულნი, მაგრამ ენვერ-ბეიმ დაამშვიდა, ცოცხალი დარჩებითო. დილით ტახტიდან ჩამოგდებული სულთანი ნაღმოსან გემით ენვერ-ბეიმ გადაიყვანა ბასფორის აზიის ნაპირზე და დროებით დააბინავა ბელარბეის სასახლეში. მასთან ერთად გადაიყვანეს მისი უმცროსი ვაჟიშვილიც.

ბალარ-ბეის სასახლეში სულთანთან მივიდა ეროვნულ კრების დეპუტაცია და ხელახლად გამოუცხადა კრების განაჩენი.

**ვინ გასცა სულთანი.**

ყველასთვის ცხადი იყო, რომ 31 მარტის საზიზღარ კონტრრევოლიუციის ნამდვილი სულის ჩამდგმელი იქნებოდა თითონ სულთანი აბდულ-ჰამიდი, მაგრამ ამას საბუთებით დამტკიცება უნდოდა, რადგან აბდულ-ჰამიდი ყველას და განსაკუთრებით უცხოეთის ელჩებს არწმუნებდა, რომ იგი სრულიად არ გარეულა კონტრ-რევოლიუციაში, რომ ეს საქმე მის უნებურად მოაწყეს, და იგი იმასაც ნანობს, რომ 32 წლის წინად გააუქმა კონსტიტუციაო.

მაგრამ ახალგაზდა ოსმალებმა მალე მტკიცე საბუთი ჩაიგდეს ხელში ცბიერ სულთნის გასამტყუნებლად. მათ დაატუსაღეს დიდ ვეზირად ნამყოფის ქიამილ-ფაშას შვილი კონტრ-ადმირალი საიდ-ფაშა, რომელიც აშკარად დიდ მონაწილეობას იღებდა კონტრ-რევოლიუციაში. საიდ-ფაშამ უამბო სამხედრო სასამართლოს, რომ სულთნის შვილმა პრინც ბურხან-ედინმა ფიცით შეისყიდა სტამბოლელი ჯარისკაცებიო. შუამავლად პრინცს ჰყავდა სულთნის საჭურის-უხუცესი ნადირ-აღაო. სასამართლო მაშინ კი ნამდვილად დარწმუნდა, რომ კონტრ-რევოლიუციის ნამდვილი მეთაური ყოფილა თითონ აბდულ-ჰამიდი, რადგან მისი საყვარელი ვაჟიშვილი ბურხან-ედინი და საჭურისთ-უხუცესი სულთნის დაუკითხავადა და უნებურად ვერ გაჰბედავდნენ ასეთ დიდ საქმეს—ჯარის-კაცების შესყიდვასა და აჯანყებასო. თუმცა ბურხან-ედინმა მაშინვე გამოაცხადა გაზეთებში, ეს ცნობა ტყუილია, მე სრულიად არ გავრეულვარ კონტრ-რევოლიუციის საქმეშიო, მაგრამ სასამართლომ არ დაუჯერა და დაატუსაღებინა იგი. ბურხან-ედინის დედა თურმე ნებაყოფლობით გაჰყვა სატუსაღოში თავის საყვარელ ვაჟი-შვილს.

საიდ-ფაშის ასეთმა ჩვენებამ გადასწყვიტა სულთნის ბედი და სამუდამოდ დაღუპა იგი. (კ.)

**აბდულ-ჰამიდის ქონების კონფისკაცია.**

გენერალისიმუსმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ ტახტიდან ჩამოგდებულ სულთან აბდულ-ჰამიდის მთელი ქონება სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. ეს ქონება 500 მილიონ. მანეთამდე ღირს, თურმე.

სულთნის ჰარამხანა, გარდა მის კანონიერ ცოლებისა, გადაიყვანეს ძველ სასახლეში თოფხანეს ახლო.

**ახალი სულთანი.**

ახალი სულთანი მაჰმად მეხუთე ამ დღეებში ეიუბის მეჩითში დიდის ამბით შემოირტყამს ოსმანის ხმალსა. ახალმა სულთანმა აუდიენციით მიიღო გერმანულ გაზ. „ბერლინ. ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი და გამოუცხადა მას: „ყოველთვის გულ-წრფელად თანაუგრძნობდი პრესსას, რადგან იგი არის მოციქული განათლებისა. მე ყოველთვის ლიბერალი ვიყავ და მუდამ ერთგული ვიქნები „კონსტიტუციისა, რომელიც წარმოადგენს ხსნასა და ბედნიერებას ოსმალეთისთვისო“.

**გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა.**

„ტაიმს“-ის საგანგებო სალონიკელი კორესპონდენტი სწერს: გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა, მესამე კორპუსის უფროსად ნამყოფი, მეტად ნიჭიერი, გამჭრიახე და მაგარი ხასიათის კაციაო. თავის მხნეობითა და გაბედულებით შევკეთ-ფაშამ განსაკუთრებული მდგომარეობა მოიპოვა. იგი მოქმედებს, როგორც მთავარ-სარდალი მთელის ოსმალეთის იმპერიის მხედრობისა და ფლოტისა. მას თავის მოვალეობად მიაჩნია სტამბოლის რეაქციონურ ხროს დედამიწის ზურგიდან აღგვა და ჯარში შერყეულ დისციპლინის აღდგენა.

შევკეთ-ფაშა 1901 წელს ლონდონში გაქცეულა, რადგან აბდულ-ჰამიდ მისი დაჭერა ნდომებია ახალგაზდა ოსმალთა თანაგრძნობისათვის, და ივლისის რევოლიუციამდე იქ უცხოვრია.

# სპარსეთის ამბები

**რუსის ჯარი შევიდა ასტრაბადში.**

„ბაქუ“ იუწყება: „რუსეთის მთავრობამ ჯარი შეიყვანა ქალ. ასტრაბადში. იქ უკვე მივიდა 100 ყაზახი, ხოლო ორი ბატალიონი ქვეითა ჯარი და 400 ყაზახი იმყოფება ასტრაბადიდან 30 ვერსის მანძილზე—გუმბედ-გავაზში. ალბად, ასტრაბადში კიდევ მოვა ჯარი, რადგან რუსეთის მთავრობის ადგილობრივი აგენტი სადგომს ქებს ჯარისთვის“.

**ბრძოლა თავრიზში.**

იგივე გაზეთი იუწყება: „თავრიზთან დაიწყო ძლიერი ბრძოლა. ხმა გავრცელდა, რომ თოფის სროლა პირველად ასტეხა სათარ-ხანის რაზმმა, რომელსაც შაჰის ჯარის წრის გარღვევა უნდოდა. ჰფიქრობენ, რომ ეს დიდი ბრძოლა გადასწყვეტს თავრიზის ბედსა. შაჰის ჯარი არ ელოდა დაცემას; მას დიდი ზარალი მოუვიდა. ჰფიქრობენ, რომ თავრიზის ბედი რუსის ჯარის მისვლამდე გადასწყდება, რადგან რუსის ჯარი სულ მცირედ ორ დღე-ღამეზე ადრე ვერ მივა აქათ.“

**რუსეთ-ინგლისის შეთანხმება.**

უცხოეთის გაზეთებს უკვე გაუგიათ შინაარსი რუსეთ-ინგლისის შეთანხმებისა სპარსეთის საქმეთა შესახებ. როგორც სჩანს, ინგლისსა და რუსეთს რამდენსამე თვეს ჰქონიათ გამართული სპარსეთზე მოლაპარაკება, რომელსაც ძლიერ უშლიდა ხელს თურმე ავსტრიასა და სერბიას შორის დავა და საზოგადოთ ახლო აღმოსავლეთის საქმეები. უმთავრესი უთანხმოება რუსეთსა და ინგლისს მოსვლიათ სესხზე. ინგლისი ბეჯითად თხოულობდა თურმე, რომ შაჰს ფულს ნუ ვასესხებთ, სანამ იგი კონსტიტუციას არ აღადგენსო. რუსეთი-კი ამტკიცებდა, რომ არავითარი პირობა არაა საჭირო, ეხლავე ხელი გავუმართოთ გაჭირვებულ შაჰსაო. ბოლოს დროს ინგლისს თავისი გაუტანია და რუსეთიც დასთანხმებია მის პირობას. ამას გარდა, როგორც გაზეთებს შეუტყვიათ, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის პირობა ჩამოურთმევია რუსეთისთვის, რომ იგი სპარსეთის შინაგან საქმეებში და პარტიათა ბრძოლაში არ ჩაერიოს: რუსის ჯარმა სპარსეთში მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომების სიცოცხლე და ქონება უნდა დაიცვას.

შეთანხმების შემდეგ, ორსავ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს შაჰს, რომ მან აღადგინოს კონსტიტუცია, შეადგინოს ახალი სამინისტრო საზოგადოების ნდობით მოსილ პირთაგან და მოიწვიოს სახელმწიფო საბჭო ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან. საბჭოს ზოგიერთი წევრი უნდა დაინიშნოს რუსეთისა და ინგლისის ელჩების ჩვენებით, ამას გარდა შაჰმ მოსთხოვენ სრულ ამნისტიას ყველა რევოლიუციონერებისთვის. ინგლისი და რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში ასესხებენ ფულს შაჰსა, თუ იგი ყველა ჩამოთვლილ მოთხოვნას შეასრულებს.

ინგლისში ბევრნი ეჭვის თვალით უცქერიან თურმე ამ შეთანხმებას და კეთილს არას მოელიან მისგან. ინგლისელი პოლიტიკოსები ჰფიქრობენ, რომ სპარსეთის საქმეებზე უფრო მეტი და ძლიერი გავლენა ექნება ოსმალეთის ამბებსა და ახალგაზდა ოსმალთა ბრწყინვალე გამარჯვებასაო, რადგან მთელი სპარსეთი ამ ჟამად გულის ძგერით აცქერდება სტამბოლისკენო.

# წინამძღვრიანთ-კარის სკოლა

ამ 25 წლის წინად სოფ. წინამძღვარიანთ-კარი მეტად პატარა სოფელი იყო (თუმცა არც ეხლაა ხალხმრავალი). ვეჭვობ, რომ ბევრს სცოდნიყო მაშინ ამ სოფლის არსებობა ჩვენს სამშობლოში. იმ დროიდან კი, როცა დიდად პატივცემულმა ილია წინამძღვარიშვილმა თავი გამოიდო და ამ მივარდნილ სოფელში სამეურნეო სკოლის დაარსება მოახერხა, მისი სახელი ყველას პირზე გვაკერია. ღირსიც იყო ყურადღებისა, რადგან აქ ჩაიყარა პირველი საძირკველი ჩვენი ერის სამეურნეო აღზრდისთვის, რის მნიშვნელობის ალსნასაც დიდებული სიტყვა უძღვნა განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ. დიდს იმედებს ამყარებდა იგი ამ სკოლის დაარსებაზე და მსმენელ გლეხკაცობას უწინასწარმეტყველა, რომ, აქ ამ სკოლაში შეიძენთ ისეთ საუნჯეს, რომელიც არც მოიპარების და არც მოიტაცების—სწავლას, განათლებას შეიძენთო.

სხვა კუთხეებიდან მოსულებისა რა გითხრათ და ირგვლივ მცხოვრებთა მიერ დაპირებულ უძვირფასეს საუნჯის შეძენა კი დიდ ეჭვსა ჰბადებს იმათში, ვინც კი გაივლის არაგვის მარჯვენა ან მარცხენა ნაპირებზე, ან ერწო-თიანეთის მიდამოებში. ამ მხარეების გულია სოფ. წინამძღვარიანთ-კარი და აქ უნდა ვეძებოთ ის განათლებას ნატყორცნი სხივები, რომელთაც უნდა შეენათებინათ მცხოვრებთა ქოხ-მახებში და გულ-შემზარავი სიბნელე გაეფანტათ. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: დიოგენის ფანარი კი არა, თვით გაუმჯობესებული [illegible] ფარნები რომ [illegible] ხელში დღე-მუდამ [illegible] მარეს, [illegible] „ხერხით ნაქცევ, გამქონე და გამომქონე კაცს“ ვერ იპოვნით, არამედ ბევრს შეჰხვდებით ისეთს, რომელიც შამოგიკურთხებს და იტყვის: „რას მიჰქრავს ე ვიღაც ოხერია, რა ვქნა! რის სკოლა, რა სკოლა, ხომ არ გაგიჟებულა, ვის უნახავს აქეთ სკოლაი“!..

მართლაც და რას ვხედავთ 25 წლის დამლევს წინამძღვარიანთ-კარში! რა მიზეზია, რომ გამგის ამდენმა შრომამ და მსხვერპლმა, საზოგადოების დახმარებამ და გულ-შემატკივრობამ ასე ფუჭად ჩაიარა და დიდებულ მგოსნის იმედები და წინასწარმეტყველება ჯერეთ ვერ ასრულებულა?

ბ ნი ტ. „დროების“ მე-54 ნომერში ამ საკითხებს ეხება. მე მსურს დაუმატო ცოტა რამ ჩემის დაკვირვებიდანაც.

მე მგონია, სკოლის დამაარსებლებმა თავიდანვე ჩაიდინეს ისეთი შეცდომები, რომელთაც ახლა იჩინეს ყველასათვის შესამჩნევად თავი. ამ შეცდომების აუცილებელ უბედურ შედეგებს გამგებლობის უვარგისობა აფარებდა ნებით თუ უნებლიეთ ხელს, მაგრამ კაცმა ქირი მალა, ქირმა თავი არ დამალაო. თავიდანვე შეყოლილმა ყანთმა და მძოვარა ქიამ იმუშავა 25 წლის განმავლობაში და შედეგს ეხლა ვხედავთ—მტერს თვალი უდგება, ჰხედავს რა სკოლის არსებობას, მოყვარეს კი გული უსკდება, რადგან იცის, რომ გულ გამოფულრულ ხეს დიდიხნის სასარგებლო სიცოცხლე აღარ უდევს წინ.

არ გამოუდგებით სკოლის დაწვრილებითი ისტორიის აღწერას, რადგან ამისთვის არც დრო გვაქვს, არც ადგილი და არც უტყუარი საბუთები სკოლის არქივიდან. აღვწერ 25 წლის დამლევის ამბავს და სკოლის მდგომარეობის სურათს. აქედან მკითხველთათვის ცხადი იქნება ის წარსული, რომელმაც შობა ეს აწმყო, ცხადი იქნება უვარგისობა იმ გამგეობისა, რომელმაც 25 წლის გამოცდილებით ვერაფერი მოაგვარა შესამჩნევი, ვერ გაიკვლია გზა და მშვენივრად ნაფიქრ აზრს, აუარებელ შრომას და სახსარს თვალსაჩინო ვერაფერი გააკეთებინა.

უტყუარი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ ადგილს მისავალი გზა უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს საზოგადო და საქვეყნო დაწესებულებას. გზა დიდი ფაქტორია ამა თუ იმ კუთხის აყვავებისთვის. კარგ გზას ბევრი უმნიშვნელო ადგილი ქალაქად უქცევია, გზას მოშორებული ქალაქები კიდევ ბინძურ სოფლებს დამსგავსებიან. ეს ჭეშმარიტება არ უნდა ჩაეთვალათ უმნიშვნელოდ სკოლის დამაარსებლებს. სკოლისკენ მიდის სასოფლო, უკეთები გზა მცხეთიდან და ავჭალიდან საგურამოზე, ახალ სოფელზე, ნავდარაანთ კარზე, გალავაზე და შედის წინამძღვარიანთ კარში. სიგზე ამ გზისა 20—25 ვერსამდეა. ეს მანძილი მაინცა და მაინც ისე გძელი არ არის, მაგრამ მეტად ძნელია, თუ მივიღებთ მხედველობაში შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის ტალახებს, აუარებელ ჩამტვრეულ ჩამპალ ბოგირებს, ხევებს ხან მშრალებს და ხან ისე ამბოქრებულებს, რომ არე-მარე თან მოაქვთ. დაუბრკოლებელი გზა კი სკოლისთვის მეტად საჭიროა, მით უმეტეს, რომ სკოლას არა აქვს არც დუქანი, არც ბაზარი და არც დიდი და მდიდარი სოფელი. ერთი გირვანქა ბრინჯისთვის უნდა ან მცხეთაში ჩამოხვიდე, სადაც იშვიათად იშოვნი ამისთანა საჭირო სანოვაგეს (სალათას კი რამდენიც გნებამს) ან ტფილისში. ასეთ გზის გადამკიდე მასწავლებელნი და მსახურნი ხშირად რჩებიან უჩაი-შაქროდ, უთუთუნოდ და უსანთოდ. რაც შეეხება მოსწავლეებს, სკოლის გამგეობამ მშვენივრად მოიშორა თავიდან ამათზე ზრუნვა, მაგრამ ამაზე ქვემოდ.

ეს საჭირო გზა, ჩემის აზრით, შეიძლებოდა ადვილად გაკეთებულიყო. ამას ხარჯი მოუნდებოდა, მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, სკოლას მაინც და მაინც არც ისე ძალიან აწუხებდა ამ 25 წლის განმავლობაში უსახსრობა. წინამძღვარიანთ-კარიდან გზა პირდაპირ არაგვ-

ზე უნდა ჩამოსულიყო. ეს გამოვიდოდა სამი ოთხი ვერსის მანძილი. სწორე გზა ჯერეთ წინამძღვარიშვილების მამულზე წამოვიდოდა, მერე სოფ. ჯილაურას გვერდზე სახელმწიფო მამულით. არაგვზე ხიდი უნდა გაკეთებულიყო, უბრალო რკინისა, როგორიც გააკეთეს სოფ. ჩაურთან. თუმცა ბევრს სიცილად არა ჰყოფნიდა არაგვზე ხიდის გაკეთება, მაგრამ. წარმოიდგინეთ, არაგვი არც ისე დაუნდობელი ყოფილა და უბრალო რკინის რელსების ხიდი სდგას უვნებლად აი რამდენი ხანია. მართალია, წინამძღვარიანთ-კარის პირდაპირ არაგვი ძალიან იშლება, მაგრამ მისი შებორკაც ხომ შეიძლება. ვერ გადავწყვეტ, რამდენი დაჯდებოდა უბრალო ხიდი და არაგვის ნაპირების გამაგრება, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ეკლესიაზე დახარჯულ ფულის ნაწილი რომ ამ საქმისა[...]ის მოეხმარებინათ, საკმაო იქნებოდა. მაშინ პატარა ეკლესიაც იქნებოდა, გზაც და ხიდიც. მთელი მუშაობა გზაზე და ხიდზე ხალხისა იქნებოდა. ხალხი ამაზე უარს არ იტყოდა, რადგან მათის ბეგარით გზები და ხიდები სადღაც ჯანაბას და დოზანას გაკეთებულა და ნუ თუ თავიანთ ცხვირის წინ დიდად სასარგებლო გზისა და ხიდის მუშაობაზე უარს იტყოდნენ!? რკინა-რელსები, როგორიც აქვს ბულაჩაურის ხიდს, ძვირი არ დაჯდება. ამ ხიდიდან საქართველოს სამხედრო გზაზე შედგებოდა კაცი. აქ კი ყოველთვის და ყოველ ამინდში გინდ ალმა ქენ თავი და გინდ დალმა—გზა ყოველთვის მშვენიერია.

როდესაც კარგ გზაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში მარტო წინამძღვარიანთ-სკოლა არა გვაქვს: ეს გზა დიდ და დაუფასებელ სამსახურს გაუწევდა მთელ ამ კუთხეს და სკოლის ღირსებასაც ხალხის თვალში ერთი ორად ასწევდა.

ყველა ამაების მაგივრად ჩვენ გვაქვს წინამძღვარიანთ-კარში ძვირფასი სვეტიცხოვლის მსგავსი ეკლესია ილია წინამძღვარიშვილის მიერ ამ ბოლო ხანებში აშენებული და სხვა არაფერი. ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ეკლესია არ უნდა აშენებულიყო: შეიძლებოდა ეკლესიაზე ნაკლები დახარჯულიყო და დანარჩენი ფული სხვა საქმეს მოხმარებოდა.

მეორე აუცილებელ საჭიროებას მეურნეობასთვის შეადგენს წყალი. ვისაც ლუკმა-პურის მოყვანა ღვთის ანაბარად არ გაუშვია, იმან უსათუოდ უნდა იზრუნოს სარწყავ წყალზე, რომ როცა ცა გაურისხდება ხოლმე ხალხს და ნ[...]მს აღარ იმეტებს, მორწყას და ჭირნახული არ ჩაწვას მინდორში. ეს ჭეშმარიტება ჩვენს ხალხს კარგად ჰქონია ძველად შეგნებული და დღესაც ეტყობა მდ. არაგვის პირებზე ნაარხები. ძველთაგან ახლებსაც გადმოულიათ და თვით წინამძღვარიანთ-კარის ირგვლივ სოფლებში ბევრია სარწყავი რუ და არხი.

წინამძღვარიანთ სკოლა? ამას წყალი არა ჰქონდა, როცა აარსებდნენ და არა აქვს ეხლაც. ისევ სამაგალითო შეწირულობა ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილისა იყო მიზეზი ამისთანა უწყლო ადგილას ასეთ სკოლის აშენებისა, მაგრამ უნდა ეღონათ რამე თუ არა, რომ სკოლა უწყლოდ არ დარჩენილიყო? ან იქნება სკოლას ჰსურდა დაემტკიცებინა, რომ სარწყავი წყალი ცრუ-მორწმუნოებაა და უამისოდაც შესძლებს უმაღლეს სამეურნეო კულტურის ალორძინებას თავის მიდამოში? აი შედეგიც: 25 წლის ვენახის, ხეხილის, სხვა და სხვა ჯიშის ხისა და ჩირგვნარის რგვა-ზრდა-გადარგვის შემდეგ ჰხედავთ ფერმას ღობე შემოფცქვნილს (ცოცხალი ღობე შენობის წინ მოსაჩვენებლად ცოტაა გაკეთებული), ხეებს ყურებ ჩამოყრილს, გამხმარს, ახალშენს უდროოდ ამომხმარს. რასაც უხეირია, ისიც სოკოებითა და ლოკოკინებით

[...]

გზა დავით და მსხვილ-სახლისოები და ამით გაუადვილეთ მცხოვრებთ ამ ახლად მოვლენილ ხარკის წყვეტა. ასეთი მაგალითი ყოფილა ქსნის ხეობაზე და მთავრობასაც შეუწყნარებია. აქ მცხოვრებთ ჰხდებათ კომლზე ორი მანეთი, ჩვენში კი, არაგვის ხეობაზე, სადაც სრული სიწყნარეა დღეს დღეისათ, წელიწადში გვხდება ექვსი მანეთი.

ჭირნახულს კარგი პირი უჩანს. ამინდსაც არა უჭირს რა. დღეს მოსავალი ისეა გადაბმული და წამოზრდილი, როგორც არ ახსოვთ მაისის პირველ რიცხვებშიაც-კი. დუ[...]ითია საწყალთ ქომაგიო, და ხალხი იმედით შესცქერის მინდვრებს, იქნება აქედგან მაინც ვირგოთ რამე და ამოდენა გაჭირვებას აუვიდეთ. ხვეწნისთვისაც კაი ამინდებია. სასიმინდეებს კვლავინდებუ[...] ხე მე[...] ჰხნავენ. **მაზრელი.**

# შემოწირულება

**წ.-კ. საზოგადოების ლატარიისთვის.**

საზოგადოების გამგეობამ მიიღო:

ე. ჭავჭანიძისა და ი. გველესიანის მაღაზიიდან: 4 სარტყელი, 2 ყელსახვევი, 8 რედიკული, 8 „პრიაჯკა", 8 ქუდი, 3 დ. საყელო, 3 კოფტა, 1 ცხვირსახოცი, 4 საყელო, $3^{1}/_{2}$ დ. ბანტი და სხ., ღირებული 53 მან. და 15 კაპ.; ავეტისიანისაგან—კორსეტი; გ. საავლოვისაგან—2 ჩუსქი; ბურთიაშვილისაგან—$^{1}/_{2}$ დ. ცხვირსახოცი; ა. ობოლევისაგან—სარტყელი; ყაზაროვისაგან—საპონი და გულის ქინძისთავი; ბერიძისაგან—ქოლგა; იარალოვისაგან—ქუდი; ტარნოპოლევისაგან—ერთი ოთახის შპალერი.

[...]

წარწერით და მილოცვის დეპეშები—სულ 73 მან. და 13 კაპ. დარჩა 19 მ. და 17 კ.

ეს ფული ინახება კასსაში. ქართულ საღამოს გამართვის პირველ ხარჯებისთვის.

ქართველ საზოგადოების მონდობილობით **გ. ჩხეიძე.**


# სამკურნალო

**გარედან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**

რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახვისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.

**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.

**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.

**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.

**ე. მ. ზვიაგინა** – კბილ. 9—11 ს.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.



ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს [...] ბანკის [...], რომ, წესდების მე-90 პარაგრაფის თანახმად, 23 მომავალ მაისს დილის 11 საათისთვის, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, დანიშნულია წლიური კრება რწმუნებულებისა.

**განსახილველი საგნები:**

1. 1908 საოპერაციო წლის ანგარიში ბანკის მოქმედებისა და მოხსენება ამის გამო.

2. ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა 190[...] წლისათვის.

3. პროექტი ინსტრუქციისა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისათვის.

4. მოხსენება ზედამხედველ კომიტეტისა კომიტეტის მოქმედების შესახებ 1908 წელს.

5. არჩევანი ზედამხედველ კომიტეტის რვა წევრისა, ნაცვლად გ. დ. გაბაშვილისა, რომელიც [...]